საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

პარასკევი, 13 აგვისტო 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 16 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 16

## „გაიმარჯვებდეთ ამითა"

მოსკოვიდან ცნობა მოვიდა: კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესზე დაუარსებიათ „საერთაშორისო კომუნისტური პარტია". ერთი პროგრამით, ერთი და იგივე შეუდრეკელი რევოლიუციონური ტაქტიკით.

1917 წ. რევოლიუციის პირველ ხანებშივე და შემდეგ პარტიის მეშვიდე სიეზდზე ამხ. ლენინმა წამოაყენა ეს საკითხი. კომუნისტური მოძრაობა, კომუნისტური პარტია ერთია მთელს დედამიწაზე, როგორც ერთია, ერთ და იმავე ტაფაში იწვის ყველა ქვეყნების პროლეტარიატი და საზოგადოთ დაჩაგრული, მშრომელი კლასი. ერთი მიზნით, ერთი და იგივე მტრის წინაშე მდგომი, ბურჟუაზიის სამშობლოს არ მცნობი, მაძიებელი თავისი საკუთარი, მშრომელთა სამშობლოის—განა სხვა და სხვა ქვეყნის პროლეტარიატი არ წარმოადგენს ცალკე რაზმს ერთიანი მშრომელთა ჯარისას, რომელსაც მხოლოდ ადგილობრივ მიზნების განხორციელებაში სჭირდება ცოტათი განსხვავებული, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებული პროგრამის განხორციელება შესაფერისი რამოდენიმეთ განსხვავებული ტაქტიკის მომარჯვებით.

ჯერ კიდევ 73 წლის წინეთ „კომუნისტთა კავშირმა", რომლის სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყვნენ მარქსი-ენგელსი, ამცნო ქვეყნიერებას ცნობილ „კომ. მანიფესტის" სახით ყველა ქვეყნების კომუნისტების გაერთიანება ერთი პროგრამის გარშემო, ერთი პროლეტარულ პარტიის დროშის ქვეშ ბრძოლა. მე-50 წლების ბურჟუაზიულმა რეაქციამ გაანაპირა ევროპის მუშათა მოძრაობის გაერთიანება, მათი საომარი კავშირი. მაგრამ 1864 წ. ასეთი გაერთიანება კვლავ აღორძინდა პირველი ინტერნაციონალის სახით, რომელიც უმთავრესად ეყრდნობოდა თავის ბრძოლაში იმავე „მანიფესტის" პრინციპებს. პირველი ინტერნაციონალი იყო თავყრილობა ყველა პროლეტარულ მიმართულებათა, მაგრამ საფუძველათ მის ბრძოლას, მის ორგანიზაციას ედვა მთელი ქვეყნიერების პროლეტარიატის მოძრაობის განუყოფლობა: თუმცა არა სახელწოდებით, მაგრამ საქმით და ბრძოლის მეთოდებით ის იყო გამოხატულება ერთი მთლიან პროლეტარულ პარტიისა, რომელსაც ემჩნეოდა ნორჩი, ჯერ კიდევ სავსებით არ ჩამოყალიბებული კლასის და მისი განვითარების ყველა საყმაწვილო სენი. თითქმის ათი წელიწადი იბრძოლა ამ ინტერნაციონალმა, ამ ხნის განმავლობაში მან სავსებით და ბრძოლის ცოცხალ პრაქტიკით გაარკვია საბოლოო მიზანი მუშათა მოძრაობის და საამისო საბრძოლველი საშუალებანი, მაგრამ ძლიერი თავით, ძლიერი საბოლოო მიზნების ნათლად წარმოდგენით, მუშათა კლასის მოწინავე რაზმი სხვა და სხვა ქვეყნებში ვერ იყო ძლიერი მჭიდრო ორგანიზაციური კავშირით, თანაც ეკონომიური სინამდვილე არ გამოდგა ხელშემწყობი პროლეტარულ, კომუნისტურ რევოლიუციისათვის, რასაც მოელოდენ, რასაც ქადაგებდენ ამ რევოლიუციის დევ-გმირი მოციქულები, მარქსი და ენგელსი. ევროპის რეაქციამ პარიჟის კომუნას დამარცხების შემდეგ, და შინაურმა უთანხმოებამ ინტერნაციონალის ჭრელ ელემენტების შორის დროებით გადააყენა ბრძოლის ასპარეზიდან მუშათა საერთაშორისო ორგანიზაცია და დაახურდავა ის ნაციონალურ პროლეტარულ ნაკადებად: მეორე ინტერნაციონალი, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა 1889 წ. პარიჟის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე გამოხატულება იყო მუშათა კლასის ცალკე, ეროვნულ ფარგლებში მოყოლილ მოძრაობის უდიდესი ორგანიზაციული, მოსამზადებელი წინასწარი მუშაობა გასწია ამ ინტერნაციონალმა, დარაზმა და შეაკავშირა ათეულ[ი] მილიონები პროლეტარების და ნახევრად პროლეტარების, და თავის არსებობის ბოლო ხანებში შტუტგარდის და ბაზელის კონგრესზე, გადასწყვიტა კიდევ შეტევაზე გადასვლა, თუ ბურჟუაზია კაცობრიობას დაემუქრებოდა თავისი იმპერიალისტური ყაჩაღობით, მაგრამ ოპორტუნიზმის გველის მწარედ ნაკბენი ის დაეცა 1914 წლის 4 აგვისტოს, როცა გავარდა იმპერიალისტური ომის დამწყები პირველი თოფი: ნაციონალიზმმა და შოვინიზმმა დროებით დასცეს ინტერნაციონალიზმი, ყველა ქვეყნების პროლეტარიატის სოლიდარობა და ამაში მთავარი ბრალი მიუძღოდათ იმ „ბელადებს", რომლებიც 25 წლის განმავლობაში მშვიდობიან განვითარებას იმპერიალისტურ ბურჟუაზიის შინაყმებად და ნოქრებად გადაექცია. გაიხრწნა და მოკვდა მეორე ინტერნაციონალი, ომის სისხლიანმა ბუღმა მოიცვა და დროებით დაჩრდილა საერთაშორისო პროლეტარიატის ერთობა, სოლიდარობა. მაგრამ უქრობია ამ სოლიდარობის ალი, უშრეტია ბურჟუაზიული წყობილების მესაფლავე კლასის რევოლიუციონური ენერგია. და აი, 5 წლის სისხლიან წარღვნის მორევში ამოცურდა ზედაპირზე პირველი კუძული და მანათობელ ვარსკვლავად მოევლინა განადგურებულ კაცობრიობას: 1919 წ. მარტში მოხდა პირველი ყრილობა კომუნისტური ინტერნაციონალის—ამ პირმშო შვილის რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციისა და საერთაშორისო „ბოლშევიზმის". მან აღადგინა მარქს-ენგელსის ნაანდერძევ საფუძველზე გაერთიანება ყველა ქვეყნის მუშების მოძრაობის, მან მიუთითა მას საბოლოო მიზანზე, რომელიც სადღეისო მიზნათ გამხდარა. პირველი ნაბიჯების შემდეგ, წინასწარ მომზადების დასრულების შემდეგ მეორე ინტერნაცინალის დამარცხების 6 წლის თავზე, ამ ინტერნაციონალის მეორე კონგრესმა საძირკველი ჩაუყარა ახალ „კომუნისტთა კავშირს", საერთაშორისო კომუნისტურ პარტიას მოქმედებისას, პარტიას ბრძოლისას პროლეტარულ დიქტატურის და მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკის დასაპყრობათ.

მე-50-ან წლებში მარქსი მიმართავდა გერმანიის მუშებს: „ჩვენ ვეუბნებით მუშებს: თქვენ მოგიხდებათ 15, 20, 50 წლის სამოქალაქო ომი და ხალხთა შუღლ-შემოხლის არა მარტო საზოგადოების წყობილების შესაცვლელად, არამედ თავის თავის შესაცვლელადაც".

საერთაშორისო კომუნისტური პარტია ხდება სწორედ იმ მთავარ რევოლიუციონურ შტაბათ, რომელიც სამოქალაქო ომის გზით სასაფლაოზე გაიტანს ბურჟუაზიულ წყობილებას და ბრძოლაში გარდაქმნილ საერთაშორისო პროლეტარიატს დაუმკვიდრებს მის სამშობლოს, კომუნისტურ კაცობრიობას.

საერთაშორისო კომუნისტური პარტია და მისი მთავარ სარდალი კომუნისტური ინტერნაციონალი—აი მთელი ქვეყნიერების მშრომელთა და დაჩაგრულთა დროშა.

„გაიმარჯვებდეთ ამითა!"

---

## ჩვენი პროკურორების საყურადღებოდ.

სოხუმის ციხეში ამ ჟამად მყოფ ჩვენი 12 ამხანაგების ვრცელი წერილი მიიღო დრ. ცენტრალ. კომიტეტმა. სხვათა შორის წერილში ვკითხულობთ:

„21 ივნისს სოხუმში დააპატიმრეს 2 წევრი სოხუმ. დროებითი საოლქო კომიტეტის საქ. კომ. პარტიის—ნ. სვანიძე და ს. კუხალეიშვილი. იმავე დროს დააპატიმრეს ი. ვიგრიანოვი რომელმაც ჯერ კიდევ 11 მაისს გამოვიდა ადგილობრივ ორგანიზაციიდან და არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა პარტიულ მუშაობაში. ს. კუხალეიშვილის ბინაზე იპოვეს ერთი ბომბა, ორი გრანატა (უკაპსულოთ), 7 ასაფეთქებელი და 10 არშინი პატრუქი. პირადათ მას ჩამოართვეს „კოლტის" სისტემის რევოლვერი. ნ. სვანიძეს უნახეს უბრალო ქარტა, გეგმა ქ. სოხუმის და ოლქის, ასეთი ქარტა-გეგმები დართული აქვს მაჭავარიანის „სოხუმის ოლქის გზის მაჩვენებელს—(Путев. по сухум. окр.) ამხ. ი. ჟვანიას, რომელიც სამურძაყანოში დააკავეს, სადაც ის გაზავნილი იყო სამუშაოდ, ჩამოართვეს მანდატი, რომლითაც მას ევალებოდა სოხ. საოლქო კომიტეტისაგან ანგარიში და დარჩენილი თანხა ჩამოერთმია სამაზრო პარტ. კომიტეტისა და სამაზრო რევ-კომისათვის და დაეარსებია დროებითი სამურძაყანოს სამაზრო კომიტეტი საქ. კომუნ. პარტიისა. (ამაზე ადრე ამხ. ნ. ბოკუჩავა იყო გაგზავნილი კოდორის და სამურძაყანოს მაზრებში რევკომების დასაშლელად და მათგან სრული ანგარიშის ჩამოსართმევად, მარა ამხ. ბოკუჩავა გზაში დააკავეს 18 ივნისს, მან გაქცევა მოახერხა, რის შემდეგ ის გუდაუთის რაიონში იქნა პარტ. სამუშაოდ გაგზავნილი, მარა 26 ივნისს ხელმეორედ იქნა დაკავებული და ახლა ჩვენთან ზის ციხეში), თუ ამხანაგ ჟვანიას ჩასვლამდე რევკომი დაშლილი არ იქნებოდა, ჟვანიას უნდა მოეხდინა მისი სრული ლიკვიდაცია და ამიტომაც იყო მის მანდატში რევკომი ნახსენები. ი. ვიგრიანოვს უპოვეს ასლი ამხ. ტერ-გრიგორიანის განცხადების, რომელიც მას გაუგზავნია ძველ სოხ. საოლქო კომიტეტის (ე. ი. რუსეთის კომ. პარტ.) სახელზე თებერვალში თბილისში მისი გაგზავნის შესახებ; აგრეთვე მას აღმოაჩნდა პირადობის მოწმობა ნიკ. ვოლკოვის (იგივე ვიგრიანოვის) სახელზე.

ყველა ეს დოკუმენტები ყოვლად გამოუსადეგარია სახელმწიფო ღალატში ბრალის დასადებათ, რაც გინდ მიდგომილი მსაჯულის ხელში არ მოხვედრილიყვენ. მაგრამ ამას დაუკავშირეს გაგრაში დატყვევებულთა „საქმე." გაგრის ორგანიზაციას პარტიის ლეგალიზაციის ამბავი ეცნობა 18 ივნისს. მარა მათ წინეთ გადაწყვეტილი ქონიდათ ზოგიერთ დევნილ ამხანაგების გადაგზავნა საბჭოთა რუსეთში და აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის დაახლოვებით გასაცნობათ. რევკომის ბეჭედით ესარგებლათ მანდატების გაცემის დროს. გასაგზავნი ყოფილიყო 4 კაცი: 1) გაგრის ყოფილი რევკომის თავმჯდომარე ნ. ვოლკოვი (ფსევდონიმი—ნიკო ვერდი), 2) აკ. სურგულაძე, 3) გერმ. ჯიბლაძე და 4) კალანდარაშვილი. ნ. ვოლკოვის გარდა, რომელმაც მიმალვა მოასწრო, ყველა დააპატიმრეს. სურგულაძე და ჯიბლაძეს უნახეს ბათუმის ორგანიზაციის (რუს. კომ. პარტ.) მანდატები, სადაც ნათქვამია, რომ ისინი წევრები იყვენ მებრძოლ ჯგუფის და საქმის მოთავების, შემდეგ გადადიან საბჭოთა რუსეთში.„ ისინი შემთხვევით მოხვედრილან გაგრაში, იქ დაუტოვებიათ ადგილობრივ ამხანაგებს და რევკომში შეუყვანიათ—მაშინ ლეგალიზაციის შესახებ არაფერი ისმოდა იქ. აგრევე აღმოაჩნდა მანდატი გაგრის რევკომის წევრობის შესახებ. ამას გარდა სურგულაძეს უნახეს ასეთი მანდატი: „19 ივნისის თარიღით: გაგრის რევკომი ამოწმებს, რომ ამხ. ა. სურგულაძე ამხ. ნ. ვერდისთან ერთად იგზავნებიან ყუბან-ჩერნომორიის რევკომში. თუ სამხედრო რევკომი გაშვებულ იქნა, ამხ. სურგულაძე თავისუფლდება მაზე დაკისრებულ სამუშაოსგან და ის რჩება ყუბან-ჩერნომ. კომიტეტის (რ. კ. პ.) განკარგულებაში."

კალანდარაშვილს არავითარი დოკუმენტები არ აღმოჩენია. 9 ივნისს დაკავებულ ვარ. კილაძეს უნახეს პასპორტი 9 მაისის თარიღით ადლერიდან მიცემული ი. ფირცხალაიშვილის სახელზე, პილენკოვის კომენდანტის ნებართვა ქ. გაგრაში შესასვლელათ და სხ. ასეთი.

16 ივნისს სოხუმში დააპატიმრეს სოხ. დროებ. საოლქო კომიტეტის წევრი ამხ. კ. მაკაროვი: მას უნახეს ძველი ინსტრუქცია ქალაქის კომიტეტის სახელზე, ამ ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ მოსახლეები ნუ გავლენ მობილიზაციაზე. კუხალეიშვილმა, სვანიძემ და ვიგრიანოვმა განაცხადეს, რომ არავითარი კავშირი ან დამოკიდებულება არ ქონიათ გაგრის რაიონულ კომიტეტთან. ვიგრიანოვს უთქვამს (ის პარტიაზე ჩამოშორებული იყო უკვე), რომ „შეიძლება გაგრის რაიონს პირდაპირ ქონდა დამოკიდებულება კრაევოი კომიტეტთან", ნამდვილათ კი გაგრის კომიტეტს გაძნელებული ქონდა დამოკიდებულების დაჭერა ახლობელ სოხუმის საოლქო კომიტეტთანაც კი.

კუხალეიშვილმა განაცხადა, რომ ბომბები მან შეიძინა ჯერ კიდევ კოდორის ფრონტის არსებობის დროს, შენახული ქონდა თავდაცვისათვის, და პარტიულ ორგანიზაციის საკუთრებას არ შეადგენენო.

რაც შეეხება ვითომდა არალეგალურ მუშაობას, ჩვენ როგორც კი შევატყობინა ფოთელ ამხანაგებმა ლეგალიზაციის ამბავი, გავუშვით ძველი კომიტეტი და დავაარსეთ დროებითი სოხუმის საოლქო კომიტეტი საქ. კომ. პარტიის. ეს იყო 7 ივნისს. (ხოლო მაზრებში თვის დამლევს გაიგეს). ამ დღიდან ვართ ჩვენ პასუხისმგებელი არალეგალურ მუშაობისთვის, მანამდის კი პარტიული ორგანიზაცია არალეგალური იყო.

სურგულაძე და ჯიბლაძე გამოტყდენ, რომ მონაწილეობას იღებდენ გენერალ ლიახოვის მოკვლაში ქ. ბათუმში, მარა მათ აბრალებენ კინტრიშის ხიდის აფეთქებასაც.

კ. მაკაროვმა განაცხადა, რომ ის პარტიის ჩვეულებრივი წევრია, უკანასკნელ დროს სულ ავადმყოფობდა და პარტიულ მუშაობას არ ეწეოდა.

შესაძლებელია რაიმე დოკუმენტები აქვს მთავრობას კიდევ, მარა ყველა იმ დროს ეკუთვნის, როცა ჩვენი პარტია არალეგალური იყო, და ამიტომ მათ არავითარი ფასი არ უნდა ქონდეს სასამართლოსთვის. ამიტომ ჩვენ გვაძლევენ არა ჩვეულებრივ სასამართლოში, არამედ სამხედრო, საველე სასამართლოში, რათა უსათუოდ „დამტკიცდეს" კომუნისტების არალეგალური მუშაობა. დიდი ფაცაფუცია ამ საქმის სასურველად ჩასატარებლად.

ბრალს გვდებენ 108 მუხლის ძალით, როგორც სახელმწიფოს მოღალატეებს, მოგველის დახვრეტა. ჩვენ გამოვიხმეთ ნაფიცი ვექილი, მარა არ დაუშვეს—სამხედრო საგანგებო „სასამართლოში" დამცველის ყოლა არ შეიძლებაო. გასამართლების დღეს არ გვინიშნავენ წინდაწინ...

ამასთანავე არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ ის საშინელი პირობები, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით. ზოგი ჩვენი ამხანაგი ჩვენგან განცალკევებულია და საერთო კამერებში ამყოფებენ. 7 ამხანაგი ერთ პატარა ნესტიან კამერაში ვართ ჩაყრილი. ზოგიერთი ამხანაგები ბოლო ხანამდის ციხის განყოფილებაში იყვენ ცოტა უკეთეს პირობებში, მარა ისინიც ძალით გადმოიყვანეს მთავარ ციხეში. ციხის უფროსის ბრძანება გადასვლის შესახებ რო არ შევასრულეთ, 16 ივნისს მოვიდა პოლკ. სულაქველიძე, თავისი რაზმი შემოიყვანა ჩვენს კამერაში, გვემუქრებოდა დახვრეტით, ამასთანავე გვიძახდა ყაჩაღებს, ხულიგანებს, ჯიბგირებს, ლაჩრებს და სხ.. რამდენიმეჯერ დედის გინებაც მოგვახალა. წინააღმდეგობის გაწევა უაზრო იყო და ჩვენც განვაცხადეთ, რომ ვემორჩილებით უხეშ ძალას და ყველა ჯადაველით საოლქო ციხეში. საჭმელზე ლაპარაკი ზედმეტია. უკანასკნელ კვირეებში ცხელ წყალსაც არ გვაძლევენ, ცივი, უდუღარი წყალი საკმაოთ ჰრ გვაქვს. ციხეში მძვინვარებს გადამდები ავადმყოფობანი: პარტახტიანი ტიფი, მუცლის ტიფი და სხ. სიკვდილი ხშირია. თითქმის ყველა ამხანაგებმა მოიხადეს ტიფი...

1 აგვისტო, 1920 წ. (ხელს აწერს 11 ამხანაგი).

---

## ბიბლიოგრაფია.

(გაგრძ. იხ. № 15)

**ნ. ხომერიკი აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა. თბილისი, 1920 წ.**

ბ. ხომერიკი არ სჯერდება კრავოშეინების პოლიტიკის რესტავრაციას, ის რევიზიას ახდენს მარქსიზმის ზოგ ძირითად დებულებებისაც კი. სხვილი თუ წვრილი მეურნეობა? რომელია საწარმოო ძალთა განვითარების ხელის შემწყობი, თვით მეურნეობის ამაყვავებელი, და წარმოებაში ჩაბმულ ადამიანის ყოველ მხრივ უმაღლეს დონეზე ამყვანი? მარქსისტისათვის, თუნდა ყოფილ მარქსისტისათვის პასუხი რასაკვირველია—ერთია: სხვილი წარმოება. მაგრამ ყოფილი მარქსისტი, ამ ჟამათ წვრილ ბურჟუაზიულ წუმპეში ამოვლებული, ამის თანახმა აღარ არის უკვე. „ჩვეულებრივათ გონიათ,—ემუსაიფება ის სოც.-დემ. პარტიის ყრილობას—რომ მიწების დარიგებით ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ გავამეფეთ სოფლად სამეურნეო ჩამორჩენილობა, რომ ტეხნიკური პროგრესი სასოფლო მეურნეობაში შეუძლებელია მიწების პარცელიაციის-დაქუცების გამო. მართალია ეს? შაბლონურად თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ეს მართალიც იყოს, მარა თუ სწორ ანალიზს გავუკეთებთ"... და სხ., გამოვა რაღა თქმა უნდა, რომ მარქსისტების „შაბლონური" მსჯელობა სულაც არ გამოხატავდა სინამდვილეს. ამასთანავე ბ. მინისტს სცოდნია, რომ უმაღლესი ტეხნიკა და წარმოება სასოფლო მეურნეობაში ფეხს იკიდებს იქაც კი, სადაც წვრილი მიწათმფლობელობაა. დანია, ბელგია, იტალია, შვეიცარია, საფრანგეთი და სხვები ამის საუკეთესო მაგალითია" და შემდეგ, თითქოს ნერწყვმორეული, ფერადი სალებავით ხატავს დანიის მყვლეფელთა და მეკარაქეთა კოოპერატივებს!

კარგი ნუგეში კია ბელგიის, დანიის და გოლლანდიის მყვლეფელთა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეკარაქეთა დოვლათის დასურათხატებით ყნოსვის გაღიზიანება ქალადიდის ან რაჭის მიწის მუშების, რომელთაც ბ. ხომერიკის საისტორიო რეფორმის წყალობით ეგებ ერთი დესეტინა მიწა თუ ერგება, ვინაიდან, შეიძლება ბ. ხომერიკი მზათ არის სამიდღემჩიოთ და სამარადისოთ გამოაცხადოს თავისი მიწის რეფორმა, როგორც დემოკრატ. რესპუბლიკა გამოაცხადა ყრილობამ სამარადისო პოლიტიკურ ფორმად, მარა ვინ ან რა არის იმის თავდები, რომ ჩვენი მესიმინდეები საკუთარი ძალღონით, ორ ტკაველა მიწის, კერძო საკუთრების ნიადაგზე არა თუ კუჭს გამოიძღობენ მარტო, თურმე ტეხნიკასაც მაღლა ასწევენ და საერთოდ ეკონომიურათ წინ გააქანებენ ქვეყანას? და ესეც რო არ იყოს—როდიდან გახდა მარქსისტების საქმედ წვრილ მესაკუთრეთა გამრავლება და მიწაზე მიმაგრება, როდის გახდა სოც.-დემოკრატების საპროგრამო საგნად მიწის ფანატიკოსების გამრავლება, როდის გახდა მარქსისტებისთვის მიწის ნასყიდობის ქაღალდი, „ქუფჩა“ „კომუნისტური მანიფესტის“ დამატებათ? როდის და მას შემდეგ, რაც ისინი გახდენ წვრილი ბურჟუაზიის ქომაგათ, როცა მათ იდეალათ გახდა ჩასუქებული გლეხი, ბურჯი წესიერების, მტერი „ანარქიის“ და ყოველივე ახალის. ტყვილათ კი არ აცხადებდა მთავრობის ნობათი „საქართველოს რესპუბლიკა“—ჩვენი მთავრობის მიზანია სოფლად მაგარი გლეხკაცობის შექმნაო! (იხ. № 2 1918 წ.).

ამ კეთილშობილ მიზანს ემსახურება 7—15 დესეტინის „ნორმა“, ეს მიზანი აქვს დასახული „დარიგებულ“ მიწის გაყიდვასაც ფულად: შეიძენს უფრო „მაგარი“ გლეხი და წესრიგსაც გამოექომაგება. რაიმე „ალორძინებაზე“ აქ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ საზეიმო სიტყვაში, ხოლო როცა თუნდა ყოფილი მარქსისტი აცხადებს, რომ „ჩვენი პოლიტიკა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ დავიცვათ მისი (წვრილი მეურნის) შრომა კაპიტალის ექსპლოატაციისაგან“-ო, აქ უკვე საზეიმო კილო სავსებით კომიკურში გადადის: ბ. ხომერიკები კაპიტალის ექსპლოატაციისაგან დაიცავენ წვრილ მეურნეებს! ალბად სწორედ ამ მიზნით მათ [illegible] ხანია რაც კანონით დართეს ბ.ბ. ნიკოლაძეების ტაშის კვრით მიწის ყიდვა-გაყიდვა და თავის ტრიბუნიდან თუ გაზეთის ფურცლებზე კიდეც გოოცებას გამოსთქვამდენ, რომ ზოგიერთს ვერ გაეგო მათი შეუპოვარი ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ: გლეხს მაგალითად შვილის გაზრდა უნდა, მან თუ მიწა არ გაყიდა რით მისცეს განათლება შვილსო, აი როგორი გოლიათები დახვდებიან ჩვენში და შეებრძოლებიან კაპიტალიზმს, თუ კი მან მოასწრო კიდევ ჩვენს სოფელში შეჭრა და გაბატონება.

მაშ ასე. წვრილი საკუთრება სათაყვანებელი გამხდარა ქართველ სოციალ-დემოკრატიისათვის მას შემდეგ რაც ის ქვეყანას თუ არა სახელმწიფოს მაინც აშენებს. მართალია—ეს წვრილი მესაკუთრეობა, როცა მათ სჭირდებათ გლეხების წინააღმდეგ სასტიკი რეპრესიების გაჩაღება, გლეხების გამამტყუნებელი, მათი ვანდეელობის დამამტკიცებელია და რეპრესიების გამამართლებელი (გაიხსენეთ ნ. ჟორდანიას მოხსენება 1918 წლის აგვისტოში). წვრილი საკუთრება თურმე არც პროგრესის, და არც საწარმოო ძალთა შემაფერხებელი ყოფილა, თუ „შაბლონურად არ ვიმსჯელებთ და სწორ ანალიზს გავუკეთებთ“... სოციალ-დემოკრატიის მისწრაფებას, ახლა უკვე გამოაშკარავებულს, ის, რისთვისაც მარქსისტები შეურიგებელ ომს აწარმოებდენ ყველა ქვეყნის რევიზიონისტების და წვრილბურჟუაზიულ „სოციალისტების“ წინააღმდეგ, ის თურმე „შაბლონური“ წარმოდგენა ყოფილა, და ეს ცხადი შეიქნა და უდაო ჩვენი მენშევიკებისათვის მას შემდეგ, რაც რომ მათ კრივოშეინების უწყებას დაეპატრონენ და თან დემოკრატიულ აღმაშენებლობისათვის ასეული მილიონები დასჭირდათ. არ გეგონოთ, რომ აქ ცვალებადობა მენშევიკების მსოფლმხედველობაში და მით უფრო მოტყუილება გლეხობის, ფეხით გათელვა თავისი, ჯერ ოფიციალურათ არ უკუგდებულ პროგრამის! ბ. ხომერიკის რწმუნებით „ეს არის სწორედ ის, რისთვისაც ძველად ჩვენ ვიბრძოდით, რაზედაც ვწერდით და პროგრამას ვადგენდით“-ო (გვ. 26). აქ უკვე ერთგვარი ბოროტმოქმედებაა, ერთგვარი „უგოლოვშჩინაა“, რასაც ნიკოლოზის კანონთა კრებული, ჯერ კიდევ „ჩვენში მომქმედი, სასტიკად სჯის—ესაა бродяжничество непомнящих родства და თუმცა ბიბლიოგრაფიული წერილი ძალიან გაგვიგრძელდა. ამხანაგ მკითხველმა ნება უნდა მოგვცეს ერთხელ კიდევ შევაჩეროთ მისი ყურადღება ბ. ხომერიკს.

ნ. გ.

## საბჭოთა რუსეთის პრესა

**„წაართვი მდიდარს, ნუ აწყენინებ შუათანა გლეხს, მიეცი ღარიბს.“**

(ნათარგმნია შემოკლებით)

ასეთ ფორმაში ჩამოაყალიბა ამხ. ლენინმა საბჭოთა მთავრობის სოფლად სამოქმედო გეგმა წასულ წლის კომუნისტურ პარტიის მე 8 ყრილობაზე.

ამ ნათელ ფორმულაში ნახა თავისი გამოხატულება საბჭოთა მთავრობის სასურსათო პოლიტიკამ. ამ სასურსათო პოლიტიკით, სასურსათო კითხვის გადაწყვეტა, მთელი თავისი სიმძიმით აწვება თავზე სოფლის მცხოვრებთა ყველაზე უფრო შეძლებულ ნაწილს, შუათანა გლეხობა უფრო ნაკლებს, თითქმის შეუმჩნეველ მსხვერპლს იღებს, ღარიბი გლეხობა კი ხელ-უხლებელი რჩება. სოფლის საჭიროებისათვის საქონლის მიწოდება ხდება დეკრეტის თანახმათ, რომელიც სავალდებულოთ ხდის კოლექტიური წესით საქონლის გაცვლა-გამოცვლას. საქონლის გაცვლის ასეთ წესს ის მიზანი აქვს, რომ სოფლის მცხოვრებთა შეძლებულმა ნაწილმა სახელმწიფოსგან მიღებულ საქონლის საშუალებით სპეკულიაცია არ აწარმოოს და არ გაყვლიფოს სოფლის მცხოვრებთა ულარიბესი ნაწილი.

სახელმწიფო აძლევს საქონელს არა მარტო იმას, ვისაც შეუძლია სურსათის მოცემა, არამედ მასაც, ვისაც არაფერი აქვს სამაგიერო მოსაცემი. საბჭოთა მთავრობის სასურსათო პოლიტიკის მოწინააღმდეგენი ამბობენ: „ყველაფერი ეს საუცხოვოა, მხოლოდ თეორიაში. სინამდვილეში კი პურს ართმევენ სოფლათ უფრო მეტს ღარიბ გლეხობას, შეძლებულ გლეხობას კი უფრო ცოტას. ის საქონელი, რომელსაც გზავნის ქალაქი დანაწილდება სასურსალო ორგანოების მიერ, ხელში უვარდება სოფლის მდიდრებს და სპეკულიანტებს“. სამწუხაროთ ეს სჯერათ საბჭოთა მთავრობის ზოგიერთ მომხრეებსაც. რას გველაპარაკება სინამდვილე? შეიძლება საბჭოთა მთავრობა, თავისი შემცდარი სასურსათო პოლიტიკით, მართლაც მხოლოდ სიტყვით ამბობს ერთს და საქმით კი სულ სხვას აკეთებს, ე. ი. ძარცვავს ღარიბს, და აძლევს მდიდარს? ამ კითხვაზე დამაკმაყოფილებელ პასუხს იძლევა საანკეტო გამორკვევა, იმის შესახებ თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში სასურსათო პოლიტიკა. სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით, ამ სტატისტიკურ გამოკვლევას აწარმოებს ცენტრალური სტატისტიკური გამგეობა.

სტატისტიკა ჯერ არ არის დამთავრებული, მაგრამ ის მასალები, რომელიც უკვე მოგვცა მან, არავითარ იჭვებს არ ბადებს იმაში, რომ ჩვენი სასურსათო პოლიტიკა უნაკლოთ სრულდება. თუმცალა საბჭოთა მთავრობა ცოტა საქონელს აძლევს სოფელს, მაგრამ რასაც აძლევს, იშვიათი შემთხვევაა იმისი, რომ ეს საქონელი ნაწილდებოდეს სოფლათ ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. უპირატესობა ეძლევა ღარიბ მცხოვრებლებს. ისინი უფრო მეტს ღებულობენ, ვიდრე საზოგადოების მდიდარი ნაწილი. ცენტრალური სტატისტიკური გამგეობის მიერ შეკრებილი საანკეტო ცნობები ეხება მხოლოდ ერთ მაზრას, მაგრამ რაც არის ისიც ნათლათ ამტკიცებს ჩვენი სასურსათო პოლიტიკის სისწორეს.

თავის თავათ ცხადია, რომ საერთო პრინციპებისგან გადახვევა, რომელსაც საფუძვლათ უდებს საბჭოთა მთავრობა თავის დამზადებითი და განაწილებითი მოქმედებას, ადგილი აქვს სინამდვილეში და ზოგჯერ მახინჯ ფორმებსაც იღებს, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ასუსტებს სოფლის მიმართ საბჭოთა სამეურნეო პოლიტიკის პრაქტიკულ მნიშვნელობას. თუ ეს რაიმეს ამბობს, მხოლოდ იმას, რომ: საბჭოთა აპარატი ყოველთვის და ყოველგან ჯერ მუშაობს სწორათ, რომ საჭიროა მისი გასწორება და გაუმჯობესება.

„წაართვი მდიდარს, ნუ აწყენინებ შუათანა გლეხს, მიეცი ღარიბს“—ეს ლამაზი და დემაგოგიური სიტყვები კი არ არის, არამედ სინამდვილეა. ამიტომ, მიუხედავათ დიდი გაჭირვებისა სამეურნეო ცხოვრებაში, მიუხედავათ ამისა, რომ ამ გაჭირვებას მთელი თავისი სიმწვავით განიცდის გლეხობა—სოფელი მაინც საბჭოთა მთავრობის მხარეზეა. გაზ. „პრავდა“.

## ინტერნაციონალის გარშემო.

**ბრაზილიის მუშათა ყრილობა მესამე ინტერნაციონალს აღიარებს.**

ბრაზილიის მუშათა ყრილობამ დახურვის წინ მიიღო რეზოლიუცია მესამე ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ. „მესამე ინტერნაციონალის ძირითადი პრინციპები,—ნათქვამია ერთ რეზოლიუციაში,—მისაღებია მთელი მსოფლიოს მუშებისათვის“.

ყრილობაზე წარმოდგენილი იყო — 500,000 მეტი მუშა. ყრილობამ მიანდო აღმასრულებელ კომიტეტს, მოიწვიოს სამხრეთ-ამერიკის ყველა ქვეყნის მუშათა ყრილობა.

**კომუნისტური მოძრაობა ბულგარეთში.**

საჭირო არ არის იმის განმეორება, რომ „ტესნიაკების“ პარტიამ პირდაპირ უარყოფითი პოზიცია დაიკავა, როგორც ბალკანეთის, ისე მსოფლიო ომის მიმართ. დი ამიტომაც „მემარცხენე“ და მემარჯვენე ბურჟუაზიის საერთო ზიზღი დაიმსახურა მან და მთექცა მძიმე რეპრესიების ქვეშ.

ომის შედეგებმა თვალები აუხილეს უკანასკნელ შეუგნებელ მუშასაც და გლეხსაც ბულგარეთში. იმათ გაიგეს, რომ სისხლს ღვრიდენ ბულგარეთისა და ევროპის ბურჟუაზიის მტაცებლურ აპეტიტისათვის. მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ, რომელშიაც მოექცა ქვეყანა, ნათლად დაანახვა მუშებს და გლეხებს, თუ რამდენად სწორი იყო „ტესნიაკების“ პოზიცია, როდესაც ისინი იბრძოდენ ბურჟუაზიის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ხვევდენ „ეროვნულ გაერთიანების“ ქურქში.

რუსეთის ბოლშევიკური რევოლიუცია რომელმაც გადასცა ძალა-უფლება მუშებსა და გლეხებს, იყო და არის ერთი მნიშვნელოვან ფაქტორთაგანი ბულგარეთის „ტესნიაკების“ (მემარცხენე სოციალ-დემოკრატები) ყოველდღიური რევოლიუციონურ პროპაგანდის და აგიტაციისა.

აპრილში 1910 წ. შესდგა „ტესნიაკების“ პარტიის ომის შემდეგ პირველი ყრილობა. ამ ყრილობას დაესწრო 800-

---

გ. ზინოვიევი.

## პარტია და პროფესიონალური კავშირები.

### 3. ცენტრალიზმი თუ დეცენტრალიზმი.

(გაგრძელება. იხ. № 15)

ამასთან ერთათ დიდი ხანია საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობაში ბრძოლაა ცენტრალიზმისა და დეცენტრალიზმის შესახებ. ყველა ქვეყნის ოპორტიუნისტები იცავენ პრინციპს წვრილ „დამოუკიდებელ“ კავშირებისას და მით არღვევენ მოძრაობას ურიცხვ მცირე ერთეულებათ (სამუდრებათ), რომლებიც ვერ არიან კარგად დაკავშირებული ცენტრთან და მოკლებული არიან ამიტომ უნარს შეასრულონ თავისი ბრძოლის მიზნები კაპიტალის წინაღმდეგ. რევოლიუციონური მარქსისტები იცავენ პირიქით ყველგან რაც შეიძლება მეტი ცენტრალიზაციის საჭიროებას.

თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში საწარმოვო კავშირების უაღრესი ცენტრალიზაციაა საჭირო კაპიტალისტებისა და კაპიტალისტური მთავრობების წინააღმდეგ საბრძოლველათ, რუსეთში არა ნაკლებ საჭიროა მაქსიმალური ცენტრალიზაცია საწარმოვო კავშირების, სრულიად რუსეთის მასშტაბით, სახალხო მეურნეობის საქმეში რაც შეიძლება მეტი მწყობრი მონაწილეობის მისაღებათ.

საწარმოვო კავშირების ყოველ მხრივი ცენტრალიზაციის პროცესი სრულიად რუსეთის მასშტაბში უკვე დაიწყო. ამ საქმეს უნდამიექცეს ბევრათ მეტი ყურადღება ვინემ ეს ამდენხანს ხდებოდა.

### 4. პროფესიონალური კავშირების განსახელმწიფოებრივობა.

უკვე 1918 წლის იანვარში შეკრებილ პროფესიონალურ კავშირების პირველ სრულიად რუსეთის ყრილობის რეზოლიუციაში იყო ნათქვამი: „სიეზდი დარწმუნებულია, რომ უკვე დაჩნეულ პროცესს შედეგათ მოჰყვება პროფესიონალური კავშირების აუცილებელი გარდაქმნა სოციალისტურ სახელმწიფოს ორგანოებათ, რომლებში მონაწილეობა სახელმწიფოებრივ ვალდებულებათ გადაიქცევა ყველა ამა თუ იმ პროფესიაში მომუშავეთათვის“-ო (რეზოლიუციის მე9 პუნქტი). ცხოვრებამ გაამართლა პირველი სიეზდის ეს რწმენა. პროფესიონალური კავშირები თანდათან იღებენ თავის თავზე სახელმწიფოებრივი ორგანოების ფუნქციებს. როდესაც პროფესიონალური კავშირები თავის წევრების მობილიზაციას ახდენენ, როდესაც ისინი აკავებენ მუშებს ამა თუ იმ ქალაქში სამუშაოთ, გადაჰყავსთ რუსეთის ერთი პუნქტიდან მეორეში მუშათა ძალები, როდესაც ისინი ამბობენ გადამწყვეტ სიტყვას ტარიფის და სხ. საკითხებში და თავისი წარმომადგენლების საშვალებით გადამჭრელ გავლენას ჰპოულობენ სახალხო მეურნეობის საბჭოს (სოვნარხოზის) მოქმედებაზე—ამით ისინი გამოდიან, არსებითათ თუ გავსინჯავთ, სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ორგანოებათ.

და სწორეთ, რადგან პროფესიონალური კავშირების განსახელმწიფოებრივობის პროცესი მიმდინარეობს თანდათახობით და სრულიათ ნორმალურათ, ამიტომ არასდეგ საჭიროებას არ წარმოადგენს ამ პროცესის ნაძალადევათ დაჩქარება და ამ წამსვე მათი ფორმალური განსახელმწიფოებრივობის გამოცხადება. პროფესიონალურ კავშირებში მოღვაწე კომუნისტებს შეუძლიათ დაეთანხმონ პროფესიონალური კავშირების პირველ და მეორე სრულიად რუსეთის სიეზდების რეზოლიუციებს ამ კითხვაზე და წავიდენ მათი სრული აუცილებელი განსახელმწიფოებრივობისაკენ.

### პარტია, კავშირები და სპეციალისტების მოწვევა.

პროლეტარიატის პარტიამ უნდა გაიგოს მიზეზი ერთპიროვნული გამგებლობისათვის სპეციალისტების მოწვევის საკითხის შესახებ თავშეკავებითი-ფრთხილი დამოკიდებულებისა, რაც ემჩნევათ ზოგიერთ მუშათა წრეებს, რომლებსაც ინსტიქტიურათ ეშინიათ, რომ ჩვენდა გაუგებრათ არ გაძლიერდეს ჩვენდამი მტრულათ განწყობილი წრეების გავლენა. პროლეტარიატის პარტიამაც უნდა გამოიმუშავოს სერიოზული ორგანიზაციული გარანტიები, რომ ეს არ მოხდეს და იმავე დროს გამოყენებულ იქმნენ მეცნიერული და ტეხნიკური ძალებიც.

ამისთვის საჭიროა ფართოთ გატარდეს სპეციალისტებთან (რკინის გზაზე და სხ) მიჩნეული მუშათა კომისრების სისტემა.

ამ სფეროში პროფესიონალურ კავშირებს წილათ ხვდებათ გარკვეულ განსაზღვრული საქმე.

საწარმოვო კავშირების ერთ უმთავრეს მორიგ საქმეს შეადგენს ცხოვრებაში გატარება ჩვენი პროგრამის იმ დებულების, რომელიც იძლევა წინადადებას, გამოყენებულ იქმნენ „ჩვენთვის სამკვიდროთ დარჩენილი მეცნიერები და ტეხნიკოსები“ ისე კი, რომ მუშებმა ამ სპეციალისტებთან ერთათ გაიარონ საერთო ამხანაგური შრომის ხანგრძლივი სკოლა.

ამ მიზნით სპეციალისტები უნდა მიღებულ იქმნენ წევრებათ საწარმოვო კავშირებში თავის ხელობის მიხედვით, თუ საჭიროება მოითხოვს კავშირებში დაარსდება ამ სპეციალისტების სექციები და ქვე-სექციები და თანდათან, იმისდამიხედვით, თუ რამდენათ ეთვისებიან ისინი შრომაში მუშებს, უქმდება გარდამავალი ხანის მიერ გამოწვეული მათი უფლების შეზღუდვაც.

თუ აღმოჩნდება ოპოზიცია წინააღმდეგ თვით სპეციალისტების მოწვევისა მრეწველობის აღორძინების და მის მართვა-გამგეობის საჭიროებისათვის, პარტიამ უნდა გაუწიოს სასტიკი წინააღმდეგობა ასეთ მიდრეკილებას, როგორც მიმართულს დღევანდელი კომუნისტური აღმშენებლობის და პარტიული პროგრამის საწინააღმდეგოს.

პარტია ცდილობს საბჭოთა რუსეთის სამსახურში დააყენოს ქვეყნის ყველა მეცნიერულ-ტეხნიკური ძალები მუშათა კლასის სასტიკ კანტროლ ქვეშ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წითელი არმიის აღმშენებლობის სფეროში.

მასთან ერთათ პარტიას უნდა ახსოვდეს, რომ მეურნეობის ხელმძღვანელობის სფეროში უფრო ადვილად, ვინემ სამხედრო საქმეში, მუშათა წრეებიდან—რომლებიც კომუნისტური პარტიის წევრთა უმრავლესობას შეადგენენ—სხვა და სხვა ჯგუფები გამოიყოფება და ერთ წყებას მეორე მოყვება, რომლებიც შესძლებენ თავის ხელში აიღონ საქმე. პარტიის დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუწყოს ტეხნიკურ კურსების, სკოლების, მუშათა პოლიტეხნიკუმების და სხვ. მოწყობა გამრავლებას, რომ მით საშვალება მისცეს უფრო ნიჭიერ მუშებს და გლეხებს, რაც შეიძლება მალე მოემზადიონ ტეხნიკის, ფაბრიკა-ქარხნის მმართველის, მაღაროების, საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელების როლისთვის. როგორც არმიისათვის მოვახერხეთ ჩვენ შეგვექმნა ასობით კურსები—ისე ახლაც, უფრო მეტათ ჩვენ უნდათ მოვფინოთ ქვეყანა კურსებით, რომლებიც აღზრდიან წითელ ტეხნიკოსებს, წითელ სპეციალისტებს, წითელ ხელმძღვანელებს მეურნეობისა და მრეწველობის მმართველობისათვის. პარტიული ორგანიზაციებისა და სამრეწველო კავშირების ერთ უმთავრეს საქმეთ უნდა შეიქნეს უაღრესი ყურადღებით მოპყრობა ყოველ მუშისა და გლეხისადმი, რომელიც გამოიჩენს ნიჭს და უნარს მეურნეობის დარგში. ყოველმხრივი დახმარება და წახალისება ხალხის გულიდან გამოსულ ორგანიზატორებისადმი. დაბოლოს საჭიროა სახელმწიფოებრივი კანტროლის (მუშათა და გლეხთა ინსპექცია) მუშათა ხელში გადასვლა, რაც სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, ტარდებოდეს ცხოვრებაში დაჩქარებით და ენერგიულათ.

### 6. პარტია და საბჭოები.

პროფესიონალური კავშირები მოქმედებენ პარტიასთან და საბჭოებთან ერთათ. მუშათა პარტიისა და პროფესიონალური კავშირების ურთიერთშორისო დამოკიდებულება რომ სისწორით გავიგოთ არ უნდა დავივიწყოთ, რომ დღევანდელ რუსეთში საბჭოები უფრო მასიურ ორგანიზაციას წარმოადგენენ, ვინემ პროფესიონალური კავშირები და თავის ფუნქციებით უთანაბრდებიან პროფესიონალური კავშირების რამოდენიმე ფუნქციას.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მერვე ყრილობამ შემდეგნაირი განმარტება მიიღო:

„საბჭოები წარმოადგენენ მუშებისა და ღარიბი გლეხკაცობის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ცხოვრებაში ატარებენ პროლეტარიატის დიქტატურას იმ დროის განმავლობაში, სანამ საზოგადოთ სახელმწიფო მოკვდებოდეს. საბჭოები თავს უყრიან ათეულ მილიონობით მშრომელთ და უნდა მიისწრაფოდენ რომ შემოიერთონ მთელი მუშათა კლასი და მთელი ულარიბესი გლეხკაცობა. კომუნისტური პარტია წარმოადგენს შემაერთებელ ორგანიზაციას პროლეტარიატის და ულარიბესი გლეხობის მხოლოდ ავანგარდისას ე. ი. ამ კლასების იმ ნაწილისას, რომელიც შეგნებულათ ისწრაფვის გაატაროს ცხოვრებაში კომუნისტური პროგრამა. კომუნისტური პარტია მიზნათ ისახავს მოიპოვოს გადამწყვეტი გავლენა მშრომელთა ყველა ორგანიზაციებში და სრული ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ ორგანიზაციებს: პროფესიონალური კავშირებს, კოოპერატივებს, სოფლის თემებს და სხ. კომუნისტური პარტია ისწრაფვის განსაკუთრებით, გაატაროს თავისი პროგრამა და სრული ბატონობა თანამედროვე სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებში, როგორიც არიან საბჭოები.“

ეჭვს გარეშეა, რომ მომავალში მუშათა კავშირების ყველა ფორმები შეერთდებიან. ფუჭია ამჟამათ იმაზე კამათი, თუ დღეს არსებულ ფორმათა შორის რომელი უფრო დიდხანს გასტანს.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდენ პარტიის 22,000 წევრს. ყრილობამ ერთსულოვნათ გადასწყვიტა, რომ „ტესნიაკების“ პარტიას დაერქვას ბულგარეთის კომუნისტური პარტია, რომელიც შეუერთდა მესამე ინტერნაციონალს.

არჩევნების შედეგებმა, რომელიც მოხდა 17 აგვისტოს 1910 წ. ნათლად დაგვანახეს „ტესნიაკების“ პოპულიარობა. გაუგონარ ტერორის მიუხედავათ, რომელიც მოწყობილი იყო პოლიციის მინისტრის „ლოიალისტ“ პასტუხოვის მიერ, და რომელიც მიმართული იყო განსაკუთრებით და მარტო კომუნისტურ პარტიის წინაალმდეგ, კომუნისტებმა მაინც მიიღეს 123,000 ათასი ხმა და 47 მანდატი, ხოლო პოლიციელ სოციალისტებმა კი—81,000 ხმა და 39 მანდატი, თუმცალა მათ ხელში მთელი სახელმწიფო აპარატი იყო. ამ შედეგებმა სასტიკათ გააცოფა მთელი ბურჟუაზია. ის შემოკრბა მიწათმოქმედების პარტიის გარშემო, რომელსაც მეტად დიდი პარლამენტარული ჯგუფი ჰყავდა, და შეჰქმნა ახალი კოალიციონური მთავრობა მიწათმოქმედების კავშირის ლიდერის სტამბოლინსკის მეთაურობით, ხოლო წვრილ-ბურჟუაზიული სოციალისტები კი, რომლებმაც უკვე ითამაშეს ბურჟუაზიის მოჯაჭვული ქოფაკის როლი კომუნისტების წინაალმდეგ, უსირცხვილოთ განდევნეს ახლა მთავრობისაგან.

დეკემბერში მოხდა ქალაქის არჩევნები. აქ კომუნისტურმა პარტიამ ერთხელ კიდევ ბრწყინვალეთ გაიმარჯვა. ქალაქის საბჭოები თითქმის ყველა დიდ ქალაქებში კომუნისტების ხელში გადავიდა. პლევნის, ლოვიჩის, პლოზლივის, ბურგარს, ვარნის, რუშჩუკის, სლივნის, გაბროვის, დუბნიცის, კიუსტენდილიას, ლომას, იამბოლას, შუმლის და სხვა ქალაქების გამგეობებზე აფრიალებულია კომუნისტური ინტერნაციონალის წითელი დროშა. აგრეთვე ბევრ სოფლებშიაც არჩეულ იქმნენ საბჭოებში კომუნისტები, ხოლო ზოგიერთ ქალაქებში, როგორც მაგალითად, სოფიაში, ვიდინში, ძვ.-ზაგორაში, თათარ-ბაზარჯიკში, ვრატცაში, კაზანლიკში და სხვა კომუნისტები საგრძნობ უმცირესობას წარმოადგენდენ. კომუნისტების გამარჯვება ისეთი განსაცვიფრებელი იყო, რომ სტამბოლისკის მთავრობა იძულებული გახდა, გადაედო 21 დეკემბრისთვის დანიშნული არჩევნები სამაზრო საბჭოებში.

სტამბოლინსკის მთავრობა, რომელიც უძლურია ებრძოლოს კომუნისტურ მოძრაობას, რომელსაც ვერაფერი ვერ დააკლო ცენზურამ და სამხედრო მდგომარეობამ და მიუხედავათ ამისა, სულ უფრო და უფრო იზრდება, გაბედა დაბოლოს გაუგონარ პროვოკაციაზე წასვლა. მან გამოიწვია გაფიცვა ორ ყველაზე უფრო მსხვილ პროფესიონალურ ორგანიზაციებისა: რკინის გზელების და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების, რომლებსაც, როგორც ერთგული დარაჯი, გვერდით უდგა კომუნისტური პარტია. გაფიცვა ერთსულოვანი იყო. მთავრობამ მიიღო უკიდურესი ზომები. მან გამოაცხადა, რომ ვითომ კომუნისტებს ძალაუფლების ხელში აღება გადაეწყვიტოს, და დაატუსაღა არა მარტო გაფიცულ პროფესიების მოწინავე პირები, არამედ ყველა პარტიული და პროფესიონალური მოღვაწენი მთელ ქვეყანაში. მან, წინდაწინვე შემუშავებულ გეგმის მიხედვით მობილიზაცია უყო ყვითელ გვარდიას შეუგნებელ გლეხებისაგან, რომლებმაც დაიკავეს ყველა სადგურები და ფოსტის კანტორები, და აგრეთვე ატყვევებდენ და უმოწყალოთ სცემდენ რკინის გზელებს. ნაბრძანები იყო კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ყველა წევრების დატუსაღება და „თუ კი გაიქცეოდენ,“ დახვრეტაც, და ამგვარათ კიდევაც დახვრიტეს რამდენიმე ამხანაგი დუბნიცში, სლივნოში, იამბოლში, ბურგასში და სხ.

ასეთ პირობებში, როდესაც სასტიკი ცენზურა და რეპრესიები მძვინვარებდა, როდესაც მიმოსვლა რკინის გზაზე და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობა შეჩერებული იყო, როდესაც შეუძლებელი იყო რაიმე კრების მოწყობა სახელმწიფოს საალყო წესებზე გამოცხადების გამო, ასეთ პირობებში მთავრობამ გადასწყვიტა, მოახდინოს 25 იანვარს 1920 წ. არჩევნები სამაზრო საბჭოებში. ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ კომუნისტური პარტია უკვე საბოლოოთ დატუქსულია და მოსპობილი. ამ არჩევნების შედეგებმაც მწარე სასოწარკვეთილებაში ჩააგდო სტამბოლიისკი და მისი სულისჩამდგმელები. კომუნისტურმა პარტიამ 148.000 ხმა მიიღო და 100 დე მანდატი. მაგრამ მთავრობა კიდევ არ ცხრებოდა. მან გაუშვა 17 აგვისტოს არჩეული პარლამენტი და დანიშნა ახალი არჩევნები 28 მარტისთვის. „ბოლშევიზმის წინაალმდეგ!“ „კომუნიზმის წინაალმდეგ“! — ასეთია მთელი ბურჟუაზიის ერთად-ერთი ლოზუნგი. ის ვერ გრძნობდა, რომ ეს ლოზუნგი საუკეთესო აგიტაცია იყო სწორედ რომ კომუნისტების სასარგებლოთ. იმ დროს, როდესაც ყველა მინისტრები და ბურჟუაზიული აგიტატორები სახელმწიფოს ყველა კუთხეებში დადიოდენ და აგიტაციას სწევდენ ჩვენს წინაალმდეგ: ავრცელებდენ ჭორებს და ცილს სწამებდენ რუსეთის კომუნისტებს, კომუნისტური პარტიის აგიტატორებს ნება არ ეძლეოდათ რაიმე კრება მოეწყოთ, რომ არ გამოეაშკარავებიათ მათი სიყალბე. ასევე დევნიდენ კომუნისტურ პრესასაც.

ასეთ მძიმე პირობებში ჩავარდნილ კომუნისტურ პარტიას სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ეწარმოებია კერძო ზეპირი აგიტაცია. როგორც ქალაქის, ისე სოფლის ყველა პარტიის წევრებს ხელი უნდა მოეკიდათ განსაკუთრებით და მხოლოდ ამ საქმისათვის, რომ ექნათ ის, რისი ქმნაც შეუძლებელი იყო სახალხო კრებებზე, მიტინგებზე და პრესის საშუალებით. არჩევნების მეორე დღეს მთავრობაც და მთელი ბურჟუაზიაც განცვიფრებული იყვნენ. ყველა მინისტრები და განსაკუთრებით შინაგან საქმეთა მინისტრი დიმიტროვი, რომელმაც თვითონ უწოდა თავის-თავს **ბულგარელი ნოსკე,** ვერ ბედავდენ გამოჩენოდენ თავიანთ მეგობრებს, რომლებსაც ისინი კომუნიზმის მოსპობას დაპირდენ. და ამ ბრძოლიდან კომუნისტების პარტია გამოვიდა კიდევ უფრო ძლიერი და მჭიდროთ შეკავშირებული. მან მიიღო 185.000 დათვლილი ხმა და 12.000 დაუთვლელი 50 მანდატით. შემთანხმებლებმა მიიღეს 52.000 ხმა და მხოლოდ 9 მანდატი.

აგიტაციასა და პროპაგანდასთან ერთად, რომელიც განავითარა კომუნისტურმა პარტიამ პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ძალა-უფლების ლოზუნგებით, გააფართოვა და გაამაგრა მან თავისი პარტიული რიგები და პროფესიონალური ორგანიზაციები ამ ჟამად ის უძლიერეს პარტიას წარმოადგენს და თავს უყრის და ამზადებს თავის ძალებს გადამჭრელ ბრძოლისათვის ბუურჟუაზიის ძალა-უფლების საბოლოოდ დასამხობათ და პროლეტარიატის დიქტატურის საბჭოთა ძალა-უფლების დასაწესებლად.

**ნ. შაბლინი.**

# ახალი ამბები

**ახ. კომ. ბიუროს დახურვა.** ხუთშაბათს 12 აგვისტოს განსაკუთრებულ რაზმმა გაჩხრიკა და დაბეჭდა საქართველოს ახალგაზრდების კომუნისტური კავშირის თბილისის მეორე რაიონის ბიურო. იმუქრებოდენ ყველასი დაღუსაღებით.

— **გოგირდის აბანოები.** მთავრობამ დაადგინა მიწადმოქმედების მინისტრის მოხსენ-ბა გოგირდის აბანოების ქალაქის თვითმართველობისათვის იჯარით გადაცემის შესახებ დასასკვნელად სახელმწიფო კონტროლს გადასცეს.

— **ბორჯომის სახელმწიფო მამული.** მთავრობამ დაადგინა გადასცეს ბორჯომის ქალაქის თვითმართველობას თავის განკარგულებაში ქუჩები, სავაჭრო ადგილები. რემერტის პარკი, ახალი კავალერიის სასტუმრო და საშკოლო შენობები, რომლებიც დღემდი ბორჯომის სახელმწიფო მამულის მმართველის განკარგულებაში იმყოფებოდა. მიწადმოქმედების მინისტრს დაევალა შეადგინოს კომისია თავის თავმჯდომარეობით და მისაგან საქმეთა სამინისტროსა და ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა მონაწილეობით ბორჯომის სახელმწიფო ქონების გამოსარკვევად.

— **კანონპროექტი ღვინის შესახებ.** მეღვინეთა და მევენახეთა ყრილობის საბჭომ შეიმუშავა კანონპროექტი ყურძნის ღვინის შესახებ. კანონპროექტი გარკვევით განსაზღვრავს ყურძნის ღვინის ბუნებას და ჩამოთვლის იმ ელემენტებს, რომელთა ხმარებაც შეიძლება ღვინის გასაუმჯობესებლად. პროექტი წინადადებას იძლევა დააჯარიმონ 10 ათასი მანეთიდან 100 ათას მანეთამდე ის პირები, რომლებიც დაუმტკიცებენ ღვინის ღირსებას. მეღვინეებს ღვინოს წაართმევენ თუ დამნაშავე ხელმეორედ ჩაიდენს დანაშაულს იგი ციხეში უნდა ჩაისვას და ღვინით ვაჭრობა სამუდამოდ აეკრძალოს.

— **რუსთა ეროვნულ საბჭოს მოსამსახურენი.** მუშათა მაგიდის გამგემ რუსთა ეროვნულ საბჭოს აუწყა, რომ მუშათა მაგიდა მხოლოდ საბჭოს მოსამსახურეებს და მუშებს მიაწოდებს სურსათ-სანოვაგეს, რისთვისაც საჭიროა სათანადო სიების წარდგენა.

— **მოსავალი ბორჩალოს მაზრაში.** ბორჩალოს ერობის სამამულო განყოფილების გამგემ მიწათმოქმედების სამინისტროს მაზრის სასურსათო, მდგომარეობის შესახებ მოხსენება წარმოუდგინა. თანახმად მოხსენებისა მაზრის 4 სასოფლო-სამეურნეო რაიონები წელს მოგვცემს შემდეგ რაოდენობის ხორბალსა დ ქერს. ქვემო ბორჩალო 406,000 ფუთ ხორბალს და 189,910 ფ. ქერს; შულავერის რაიონი—100,600 ფუთ ხორბალს და 46,900 ფუთ ქერს; ეკატერინონფელდის რაიონი—363,050 ფუთ ხორბალს და 171,780 ფ. ქერს; ბაშკიჩეთის რაიონი—1172,40 ფ. ხორბალს და 173,803 ფ. ქერს: წალკის რაიონი—160,000 ფუთ ხორბალს და 320 ათას ფ. ქერს. მაზრაში დამუშავებული იყო სულ 93,565 დღ მიწა, რომელზედაც მოვიდა 1,147,790 ფუთი ხორბ. და 904,393 ფ. ქერი. ამას უნდა მიუმატოს ახლად დათესილი მიწების 10 პროც. და სულ ხორბლეულობის მოსავალი იქნება 2.250,016 ფუთი; ამგვარათ ამ კუთხეს თავის მოსავალი თვით არ ეყოფა. თუ გადამწყვეტი ზომები არ იქნა მიღებული ხორბლეულობის გატანის წინაალმდეგ. ამ კუთხეს სულ 2.330516 ფუთი ხორბალი სჭირდება. (დ. ს.).

— **ალავერდის ქარხანა.** მთავრობამ ალავერდის ქარხნის საჭიროებისათვის ნება დართო 1000 ფუთი ხის ნახშირისა და ამ ქარხნის მუშებისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგის გატანისა, ულუფის რაოდენობა მომარაგების სამინისტრომ უნდა გამოარკვიოს.

# დეპეშები

ს. დ. ს. საინფორმაციო განყოფილება.

**ბონარლოუ საბჭოთა რუსეთის შესახებ.**

**ლონდონი,** 4 აგვისტო. „ტაიმსის“ ცნობით ბონარლოუს თემთა პალატაში შემდეგი განუცხადებია: ბრიტანეთის მთავრობა აცხადებს, რომ იგი არაა წინაადმდეგი საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენისა და ამის გამო საბჭოთა რუსეთის დელეგატების დაბრუნებას უნდა მივესალმოთ. საბჭოთა რუსეთს არა ერთხელ განუცხადებია თავის დეკლარაციაში, რომ ის მზათ არის ზავი შეკრას თავის მეზობელ სახელმწიფოებთან. ინგლისის სურვილია განაღდდეს ეს სიტყვები. სწორეთ ამისთვისაა ლონდონში მოწვეული კონფერენცია. ამ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ გარდა საბჭოთა რუსეთისა, პოლონეთის, გალიციის და ციმბირის წარმომადგენლებიც. ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ იგი არ განასხვავებს დელეგატებს. ბრიტანეთი ძველ შეურყეველ მოთხოვნილებებს წამოაყენებს. ჩვენ მომხრე ვიქნებით საბჭოთა რუსეთსა და ვრანგელს შორის დროებით ზავის ჩამოგდებისა. დროებით ზავის პირობათ უნდა ჩაითვალოს ვრანგელის ჯარების დახევა ყირიმის საზღვრებისაკენ. ყირიმი გამოცხადდება ნეიტრალურ ზონათ. ვრანგელი მოწვეული იქნება ლონდონში მისი ჯარის მომავალი მდგომარეობისა და ამ ჯარისაგან დაკავებულ ტერიტორიის გამოსარკვევათ, მიზნათ არა გვაქვს ვრანგელი კონფერენციაზე მოვიწვიოთ, როგორც კონფერენციის ოფიციალური წევრათ.

**ჩიჩერინი ინგლისის შესახებ.**

**პარიზი,** „ეხო დეპარი“ თანახმათ სტოკჰოლმიდან მიღებულ ცნობებისა, იუწყება: კომუნისტურ პარტიის აღმასრულებელ კომიტეტში ჩიჩერინმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა: ინგლისი—განაცხადა საგარეო საქმეთა კომისარმა: პირმოთნე და გაიძვერაა. მასთან საბრძოლველად ჩვენ მური კავშირი უნდა შევკრათ ავღანისტანთან, ოსმალეთთან, სომხეთთან, სპარსეთთან და ჩინეთთან. ეს ერები ჩვენ გვიყურებენ, როგორც მხსნელებს. ისინი გვიწვევენ ჩვენ, როგორც არბიტრებს და სთხოვენ წითელ ჯარებს რომ მათ სადაო ზონები დაიკავონ.

**ამერიკელების გაქცევა ყარაბაღიდან.**

**ვარშავა,** 4 აგვ. ამერიკის მისიამ ამერიკის მოქალაქეებს, რომლებიც ვარშავაში სცხოვრობენ, წინადადება მისცა გასამგზავრებლად მოემზადონ (დ. ს.).

**ჯარების დაგროვება ბულგარეთის საზღვარზე.**

**პარიზი,** 3 აგვ. „ტანი“ იუწყება, რომ ბულგარეთის საზღვარზე გროვდება საგრძნობი სამხედრო ძალაო. (დ. ს.),

# ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

## საბჭოთა რუსეთში

**მე-3 ინტერნაციონალის მე 2 კონგრესის სხდომების მოკლე მიმოხილვა.**

**მოსკოვი,** 10 აგვისტო. ამხ. სტეკლოვი აქვეყნებს მე 3 ინტერნაციონალის მე 2 კონგრესის სხდომების მოკლე მიმოხილვას. ის აღნიშნავს, რომ ყრილობა ერთსულოვნათ ჩატარდა. „ყრილობის ყველა მონაწილენი გულმოდგინეთ მიისწრაფიან ბურჟუაზიის წინაალმდეგ საბრძოლველათ, რომ განთავისუფლდეს პროლეტარიატი. დავას იწვევდა მხოლოდ ის კითხვები, თუ როგორი საშუალებებით შეიძლება უფრო ჩქარა და შეცდომის დაუშვებლათ მოქმედება. ძირითად კითხვებზე რეზოლიუციების უმრავლესობა მიღებულ იქნა ერთხმათ. ისინი, ვინც წინაალმდეგ აძლევდენ ხმას, უმეტეს შემთხვევაში აცხადებდენ, რომ ემორჩილებიან მიღებულ გადაწყვეტილებებს.

მე 3 ინტერნაციონალი არ უნდა გადიქცეს ერთი მეორისაგან დამოუკიდებელ პარტიების აკადემიურ ბრძოლის ასპარეზათ, ანდა სალონებში დროებით შეხვედრილთა საბაასოთ, არამედ ის უნდა გადიქცეს გმერთიანებულ ნაციონალურ მებრძოლ ერთეულათ. ის უნდა გაერთიანებული იქნეს როგორც თეორეტიულ შეხედულებებში, ისე პრაქტიკულ საქმეებში. პროლეტარიატის მოწინავე რაზმების გაერთიანება—ეს ამ კონგრესის საუკეთესო მოპოებათაგანია. მე 3 ინტერნაციონალის ყრილობამ დაგვანახა, რომ კომუნისტები რაიმე განსაკუთრებულ პარტიას კი არ წარმოადგენენ თავისი მუშათა მოძრაობის ფორმებით, არამედ ისინი (კომუნისტები) წარმოადგენენ პროლეტარიატის მოწინავე რაზმს, რომელიც იბრძვის მთელი ქვეყნის მშრომელთა გასანთავისუფლებლათ. მთელი ქვეყნის ბურჟუაზიამ უკვე ასტეხა ყვირილი ყრილობის რევოლიუციონური გადაწყვეტილებების წინაალმდეგ. ის არ შეჩერდება იმის წინაშე, რომ რეპრესიებით და სხვა საშუალებებით გაანადგუროს მუშათა მოძრაობის რაზმები.“

**გლეხთა კვირა.**

**მოსკოვი,** 10 აგვისტო. ყველგან სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა „გლეხთა კვირის მოსაწყობათ“. ვიტებსკში და გომელში შეადგინეს პროფესიონალურ კავშირების წევრებისაგან რაზმები სოფლად სამუშაოთ. კამიშინის რკინის გზელებმა გაადიდეს სამუშაო დღე 2 საათით. ეკატერინებურგში და სხვა ქალაქებში მოაწყვეს „სუბოტნიკები“.

**მოსავალი.**

**კურსკი,** 8 აგვისტო. მაზრაში ხილის არაჩვეულებრივი მოსავალია. დაიწყეს ხილის მოგროვება და გახმობა.

**პოლონეთთან მოლაპარაკება.**

**ლიონი,** 8 აგვისტო. კამენევისა და ინგლისის კაბინეტის წინასწარ შეთანხმების გამო, პოლონეთის მთავრობამ უნდა შეაჩეროს მოხალისეთა მოკრება. მოკავშირე სახელმწიფოები უარსჰყოფენ პოლონეთისათვის იარაღის გაგზავნაზე. რუსეთის დელეგატები მოითხოვენ საკანტროლო კომისიის დანიშვნას, რომელიც თვალყურს ადევნებს პოლონეთის მიერ ზავის პირობების ასრულებას. ინგლისის მთავრობა მზადაა მიიღოს ეს წინადადება იმ შემთხვევაში, თუ კომისია არ აწარმოებს იქ პოლიტიკურ პროპაგანდას. ამხ. კამენევი შეეკითხა მოსკოვს, რომ გაიგოს, სცნობს თუ არა რუსეთის მთავრობა შესაძლებლად ამ პირობებში შეთანხმებას.

## საბჭოთა აზერბეიჯანში.

**სწავლა-განათლება მუსულმანთა შორის.**

**ბაქო.** სტატისტიკურ ცნობებით, მუსულმანთა შორის 80 პროც. უსწავლელია. საჭიროა 2,600 მასწავლებელი. განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაშია 600 მასწავლებელი. მასწავლებელთა კადრის გასამრავლებლათ გახსნეს ორი თვის პედაგოგიური კურსები.

**განათლების მუშაკთა ყრილობა.**

1 აგვისტო ბაქოში გაიხსნა განათლების მუშაკთა ყრილობა. ყრილობას დაესწრენ: ყაზახის, ტუასის, შამქორის, ჯევანშირის მაზრების სხვა და სხვა ეროვნებების 400 დელეგატი. მისალმების დეპეშა გაეგზავნა ადერბ. კომ. პარტ. ცენტრალურ კომიტეტს, პროფესიონალურ კავშირების საბჭოს და ყრილობის საპატიო თავმჯდომარეს ლუნაჩარსკის.

## საზღვარ-გარედ

**ინგლისის მუშები.**

**პეტროგრადი,** 4 აგვისტო. ინგლისის კომუნისტური პარტიის წევრი სილვია პანხრესტი რომელიც მოვიდა მე-3 კომ. ინტერნაციონალის ყრილობაზე დასასწრებლათ, ამბობს, რომ ინგლისის მთავრობის ცდა—ჩაეღრჩო რუსეთი, უნაყოფო გამოდგა, რადგან ინგლისი იძულებული შეიქნა ანგარიში გაეწია მუშების სულიერ განწყობილებისათვის, რომლებიც დგებიან აქტიურ ბრძოლის გზაზე. ინგლისის მეზღვაურები და მუშები უარს აცხადებენ პოლონეთისთვის გასაგზავნ სამხედ. იარაღით გემების დატვირთვაზე დ გაგზავნაზე. ბრძოლა სწარმოებს წარმოების სოციალიზაციისათვის. უმუშევრობის ნიადაგზე ხდება ინციდენტები. კომუნისტური პარტია პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოების სისტემის თვალსაზრისზე სდგას.

**კომუნიზმი ოსმალეთში.**

**სალონიკი,** 4 აგვისტო. სალონიკში მოვიდა ცნობები კონსტანტინოპოლში კომუნისტური პარტიის დაარსებაზე. პარტიას კავშირი აქვს ანატოლიის უმთავრეს ქალაქებში. ყველა რევოლიუციონურ მიმართულებების წარმომადგენლებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს საბჭოთა მთავრობის გამოსაცხადებლათ ბრძოლისათვის.

**რუსების დევნა ინგლისში**

**პეტერბურგი,** 9 აგვისტო. ინგლისური გაზეთი „დეილი გეროლდი“ აღნიშნავს, რომ მიუხედავათ საბჭოთა მთავრობის მეტათ კარგი მოპყრობისა ინგლისის ქვეშევრდომებისადმი მოსკოვში, რუსეთის მოქალაქეებს ინგლისში იჭერენ და ციხეებში ათავსებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი რუსეთის ქვეშევრდომებია. ამას წინათ ქ. გლაზგოში დაიჭირეს და მოათავსეს ბრისტოლის სატუსაღოში სამი რუსი პოლიტიკური ემიგრანტი. ყველა მათ მოელის გაძევება ინგლისის საზღვრებიდან, მარა გაძევებულები ყოველთვის ვერ აღწევენ სამშობლოს. ასე მაისის რიცხვებში დაიჭირეს დაახლოვებით რუსეთის ასი მუშა და გააგზავნეს ადესის მაგივრათ, თეთრებთან.

**იტალიის კატეგორიული განცხადება**

**მოსკოვი,** 10 აგვ. (რადიო): ხელახლა მიღებულია იტალიის მთავრობის კატეგორიული განცხადება პოლონეთის, საფრანგეთის და ინგლისის კაბინეტებისადმი, რომ იტალია იცავს თავის სრულ ნეიტრალიტეტს.

**ჩეხები არ წავლენ რუსების წინაალმდეგ**

**ვენა,** 3 აგვისტო. ჩეხის პრესა იუწყება, რომ ჩეხის რესპუბლიკა არ წავა რუსეთის წინაალმდეგ, ვინაიდან ჩეხის მუშებს არ სურთ თავის მოძმეებთან ბრძოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ინგლისი და საბჭოთა რუსეთი.

**ბერლინი.** აგვისტოს 1. ადგილობრივ პრესის ცნობით, ჩიჩერინს რადიოთი უცნობებია ლოიდ ჯორჯისათვის, რომ მოსკოვს გულწრფელად სურს შეუთანხმდეს ინგლისს ვრანგელის თავდასხმის შესახებ. მოსკოვი მზათაა დასთანხმდეს ვრანგელის ჯარის კაპიტულიაციაზე და ჯარს შეუნარჩუნოს სიცოცხლე.

### ლიუდენდორფი და ბალშევიკები.

**ნაუენი,** 8 აგვისტო. ლიუდენდორფმა ერთ საუბარში განაცხადა, რომ ინგლისი და საფრანგეთი თუ არ შესცვლიან თავის პოლიტიკას გერმანიის მიმართ, იმ შემთხვევაში გერმანია იძულებული იქნება მიემხროს რუსეთსო. ის აცხადებს, რომ თუმცაღა ის ბალშევიკი არ არის, მაგრამ ფიქრობს, რომ მხოლოდ ბალშევიზმს შეუძლია იხსნას გერმანია ამ სასოწარკვეთილებისაგან, რომელშიაც ის ხლა არის ჩავარდნილი.

## საბჭოთა რუსეთში

### ცალფა რელსიანი რკინის გზა.

ცენტრალურ საალმშენებლო კომისიაში, რომელიც დაარსებულია სრ. რუს. სახ. მეურნეობის კომისარიატთან, მოისმინეს ცალფა რელსიანი რკინის გზის ამშენებელთა კომისიის თავმჯდომარის ვ. ა. კრიტის მოხსენება. გამოირკვა, რომ უკვე შესრულებულია ყოველგვარი ძირითადი „ჩერტეჟები" ცალფა რელსზე ორ ვაგონიანი მატარებლისა და დამთავრებულია თეორეტიული სამუშაო მათემათიკური ნუსხებით გიდროსკოპიული მოვლენების შესახებ. საჭიროა მხოლოთ სამუშაო „ჩერტეჟების" მომზადება. რადგან საქმე სრულიათ ახალია, პროექტის დამუშავების დროს წარმოიშვა ისეთი საკითხები, რომლებმაც გამოიწვიეს არსებითად გადამუშავება და დამატებები; მეტადრე კი ბევრი შრომა დაიხარჯა „ტელეჟკების" კონსტრუქციის გაუმჯობესებაზე და მოსახვევებში პერისკოპის ავტომატიურათ გასამართავის გამომუშავებაზე. ახლა, გამომგონი შილოვსკის სიტყვებით, მისი თანამშრომლების მთელი შემადგენლობა უცდის მხოლოთ საჭირო თანხის გადადებას, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ 6 კვირის განმავლობაში დაიწყონ მუშაობა და შეუკვეთონ ქარხნებს საჭირო მასალების დამზადება. წინასწარ მოლაპარაკებამ ქარხნებთან ცალფა რელსზე ორ ვაგონიანი მატარებლის შემადგენლობის დამზადებისა და მისი ელექტრონით მოწყობისა სასურველი შედეგები მოგვცა.

ხელშემწყობ პირობებში კომისიას იმედი აქვს მომავალი წლის გაზაფხულის დასაწყისს გაუშვას პუტილოვის ქარხნისა და ჩრდილო-დასავლეთის რკინის გზებზე სანიმუშო მატარებელი.

იმავე კომისიას წინადადება მიეცა სულ ახლო დროში წარმოადგინოს სრული სმეტა რკინის გზის ასაშენებლათ 1921 წლ. 1 იანვრამდის.

გაზ. „ეკონომ. ცხოვრ." №146.

### საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

**„ახ. კომ."**, როგორც მუშათ. კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას სავსებით ნაყოფიერათ, როცა ის რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგურბენიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპონდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „ახალი კომ." რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყოს შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანიზაციას აწვება.

**·ცენტრალური კომიტეტი·**

## პარტიული ცხოვრება.

### თბილ. მე-4 რაიონის მე-5 იაჩეკის სხდომა

31 ივლისს შესდგა თბილისის მეოთხე რაიონის მეხუთე იაჩეიკის სხდომა. დაესწრენ ყველა წევრები. მოისმინა-რა თბილისის კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენება მთავრობის რეპრესიების შესახებ, რომელიც ძალზე აფერხებს ჩვენი პარტიის ლეგალურათ მუშაობას, სხდომა ერთხმათ პროტესტს აცხადებს ასეთი რეპრესიების წინააღმდეგ. იაჩეიკის ყველა წევრებმა განაცხადეს, რომ თითქმის ერთი პატარა მუჭა რევოლიუციონერები მუშებიც რომ დარჩეს, ისინი მაინც გააგრძელებენ ბრძოლას მენშევიკების წინააღმდეგ. იაჩეიკის მუშაობის შესახებ დადგენილ იქნა შემდეგი: იკრიბებოდენ თავის დროზე, მოაწყონ ლექციები და აწარმოვონ ენერგიული პარტიული მუშაობა.

### ფ ო თ ი

მიუხედავათ იმისა, რომ ათობით და ოცობით ციხეებში ერეკებიან ჩვენს პასუხისმგებელ ამხანაგებს, ადგილობრივი კომუნისტები ერთხელ არჩეულ გზაზე შეურყევლათ დგანან და ენერგიულ მუშაობას განაგრძობენ. 4 აგვისტოს შესდგა ყველა იაჩეიკების და კომიტეტის წევრების გაერთიანებული კრება, სადაც შემდეგი საკითხები ირჩეოდა: 1) ორგანიზაციული კითხვები, 2) ანგარიშები, 3) სარევიზიო კომისია, 4) ციხე, 5) ლიტერატურის გავრცელება, 6, ასპარტაკელები. სანამ ამ კითხვების გაშუქებას შეუდგებოდა კრება, ამხ. თავმჯდომარემ მოხსენება გააკეთა მომენტზე, რამაც დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია აქ დამსწრე ამხანაგებში. მოხსენების შემდეგ მუხლობრივ გაირჩა ყველა დღიურ წესრიგში წამოყენებული საკითხები.

**შ. წოველი.**

## მ უ შ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა.

### თბილისის რკინის გზის მთავ. რი სახელოსნო.

დღეს ვინ არ იცის, რომ მუშების მდგომარეობა გაჭირვებული და უნუგეშოა, ხელფასი არ აღემატება უწინდელ დროის შეგირდისას. აქ დაარსდა კოოპერატივი ჯერ კიდევ იმპერიალისტური ომის დროს, რომ მუშებისთვის დახმარება აღმოეჩინა. რევოლიუციის შემდეგ მას განაგებდა ადმინისტრაცია. რა დახმარებას აძლევს კოოპერატივი მუშებს? წელიწადში, ათი გირვანქა კართოფილის, ათი გირვანქა ხახვს, ქონდარს, პამიდორს, ორი სამი კაროფკა წუმწუმას და სხვა წვრილმანებს. მოიტანეს ფეხსაცმელები, მერე როგორ აძლევენ მუშებს? 2650 მანეთათ. აბა რომელ მუშას შეგვიძლიან მისი ყიდვა, რომელიც ჩვენ თვიურ ხელფას აღემატება. იძლევიან კიდევ სამი არშინ „შევიოტს," მაგრამ ბოროტი ენები ამბობენ, რომ გამგე „დეზერტირების" ბაზარში დადისო, რომ მაზანდა გაიგოს და ისე მისცეს მუშებსო. ყველა ამების შემდეგ გამოვლენ და წერენ გაზეთებში, რომ მუშებს ყველაფერს იაფ ფასებში ვაძლევთო.

მატაშვილი.

### ქუთაისის პროფესიონალური კავშირის მდგომარეობა და მათი უფლებები.

(გაგრძელება)

ამბობენ, ჩვენ იმ კავშირთან რა საერთო გვაქვთ, სადაც ჩვენსას არ ისმენენ და ჩვენს ინტერესებს არ იცავენო. ინტერესების დაცვის მაგიერ ცენტრალური კავშირი და შრომის კომისარი ხელს უწყობენ ჩვენს მჩაგვრელებს. ჩვენ ყოველ წამზე გვეღობებიან, გზას გვიკრავენ, არ გვაძლევენ თავისუფალ მოქმედებას ჩვენს ინტერესების დასაცავათ. ჩვენს ყოველივე მოთხოვნილებებს ქარ-ცეცხლში ატარებენ და გვეწინააღმდეგებიანო. როდესაც აქაურმა მენშევიკებმა შეატყვეს და გაიგეს, რომ მათი საქმე კავშირებში მეტად ცუდათ მიდის, მაშინ მიმართეს ყოველივე ძალ-ღონეს, რომ როგორმე შეეჩერებიათ ასეთი უკმაყოფილება. მაგრამ მათმა ყოველივემ ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა. მაშინ მიმართეს ერთ ხერხს, რომ ამით მაინც გასულიყვენ ფონს, მარა არც ეს შველით. ცენტრალურმა კავშირმა დაადგინა, რომ დაინიშნოს კავშირებში ინსტრუქტორები. ამ ინსტრუქტორების მიზანი არის ის, რომ ადევნოს თვალ-ყური გამგეობების გადაწყვეტილებას, რომ საწინააღმდეგო არაფერი გამოიტანონ (რასაკვირველია მენშევიკების წინააღმდეგ) და არ მოითხოვონ ეკონომიური პირობების გაუმჯობესობა, თუ კი ეს ცენტრალურმა კავშირმა არ იცის. რომ კითხოთ მენშევიკებს, თუ რისი მაქნისია ეს მათ მიერ გამოგზავნილი კაცი, გიპასუხებენ: ეს გახლავთ ინსტრუქტორი, რომელმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს კავშირებს. მუშებს არაფერი არ ექნებოდათ მის წინააღმდეგ რომ ის მართლა ინსტრუქტორის როლს ასრულებდეს მაგრამ უნდა ვთქვა, რომ, როგორც მე არ მესმის და არ ვიცი ჩინური ენა, ისე ამ ინსტრუქტორსაც არ ესმის პროფესიონალური კავშირების მოძრაობა. მის როლს კი შეადგენს თვალყურის დევნება, თუ ვინ რას იტყვის გამგეობაში მერე კი ყველაფერი გადასცეს მის ბატონებს. მე ახლა მოვიყვან ერთ საყურადღებო ფაქტს, მენშევიკების „სოციალისტობაზე" და მათ მიერ მუშათა კლასის ინტერესების დაცვაზე კავშირმა გადაწყვიტა, რომ მოემატებიათ ხელფასი, რადგან ნამეტან მცირეს იღებდენ კავშირი ადგენს რომ მოემატოს მუშებს ამდენი და ამდენი პროცენტი (ამ კრებას როგორც გადმომცენ არ დასწრებია „ინსტრუქტორი)" გამგეობა ადგენს: განსაზღვრულ დროის განმავლობაში, თუ არ დააკმაყოფილეს ჩვენი მოთხოვნილებები მაშინ გაჯიფიცოთ. ადგენენ. რომ ამ კრების ოქმი გაეგზავნოს ცენტრალურ კავშირს დგება აღნიშნული დრო, და ხაზეინებიდან პასუხი არ არის დამაკმაყოფილებელი. მაშინ გაფიცვის კომიტეტი სწყვეტს, რომ გაიფიცონ იწყება დილას გაფიცვა, ხაზეინები აკმაყოფილებენ მუშების მოთხოვნილებებს და მუშებიც იწყებენ ნაშუადღევიდან მუშაობს. ამავე საღამოს ქონდა ცენტრალურ კავშირს კრება, და არჩევდა ამათ მკერვალების) მოთხოვნილებას ცენტრალური კავშირი ადგენს, რომ ამათი მოთხოვნილებანი კანონიერი არ არის. კავშირის წარმომადგენლები უპასუხებენ, რომ იმათმა უკვე გაიმარჯვეს, ხაზეინებმა მათი მოთხოვნილებები უკვე დააკმაყოფილესო, მაშინ ცენტრალური კავშირი ადგენს, რომ ეს საქმე გადასცეს შრომის კომისარს და როგორც უნდა მას ისე მოიქცესო. აღსანიშნავია ერთი ფაქტი, რომელსაც ადგილი ქონდა გაფიცვის დროს: როგორც კი გაიგეს მენშევიკებმა და რასაკვირველია ინსტრუქტორმაც გაფიცვის დაწყება მაშინვე მორთეს ყვირილი და გამგეობის ლანძღვა: აგინებდა გამგეობას როგორც ბალშევიკ ანარქისტებს, თუ როგორი საზიზღარი საქმე ჩაიდინეს და, როგორი სირცხვილი აჭამეს კავშირს. ეს კი არა—დაჭერითაც კი ემუქრებოდენ გამგეობის წევრებს. ხაზეინებს კი ეუბნებოდენ—არ დააკმაყოფილოთ მათი მოთხოვნილებანი ხაზეინები კი მაინც იძულებული იყვენ დაეკმაყოფილებიათ ისინი აი ასეთი როლს თამაშობენ ქუთაისელი „სოციალისტ"-მენშევიკები, და ასეთ ერთეულათ გამოდიან მუშათა კლასის ინტერესების დამცველათ. შრომის კამისარი იბარებს ხაზეინებს და ეუბნება, რომ ეს მოთხოვნილება არ არის კანონიერი ნუ დაკმაყოფილებენ, და გაასაჩივრო ეს საქმე უმაღლეს დაწესებულებაში ამას ეუბნება გ. შრომის კომისარი ხაზეინებს გაფიცვის შემდეგ.

ი. დ—ნი

(დასასრული ხვალ).

## პროტესტი

### მთავარი სახელოსნო.

ჩვენ რკინის გზის მთავარ სახელოსნოს და დეპოს მუშებმა ვიქონიეთ რა მსჯელობა საქართველოს ციხეებში მყოფ ამხანაგების გმირულ ბრძოლაზე, დავადგინეთ ერთხმათ:

1. სასტიკ პროტესტს და გულის წყრომას უცხადებთ მთავრობას, რომელიც უდანაშაულოთ სტანჯავენ ჩვენს ამხანაგებს ციხეებში.

2. მოვითხოვთ მთავრობისაგან დასაბუთებული ბრალდება წამოუყენოს გაფიცულ ამხანაგებს ან დაუყონებლივ გაანთავისუფლოს ისინი.

**მუშა.**

### ს. წყემი.

ჩვენ წყემის მშრომელი გლეხობა რიცხვით 20 კაცი სასტიკ პროტესტს ვუცხადებთ სენაკის მაზრაში იდეურად მებრძოლ კომუნისტების დატუსაღებისათვის. ჩვენ ს. წყემის ღარიბი გლეხობა მოვითხოვთ მათ განთავისუფლებას. ძირს რეპრესიები! გაუმარჯოს იდეურ ბრძოლას! გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას!

მონდობილობით **უჩანა.**

### ს. გეჯეთი.

ჩვენ ს. გეჯეთის მშრომელი გლეხობა, რიცხვით 60 კაცი სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ სენაკის მაზრაში იდეურად მებრძოლ კომუნისტების უდანაშაულოდ დატუსაღებისათვის. გავიგეთ რა, რომ მთავრობას ბრალდებათ წარმოუყენებიათ იარაღების შეძენა, ხალხში აგიტაციის გაწევა არსებული მთავრობის დასამხობად—ვაცხადებთ რომ ასეთი ბრალდება შორს არის სინამდვილისაგან. პირიქით სენაკის მაზრაში დატუსაღებული ამხანაგები ჩვენ გვარიგებდენ, რომ არ გვეთქვა რაიმე მთავრობის საწინააღმდეგო, და ვმდგარყავით იდეიური ბრძოლის ნიადაგზე, არავითარი იარაღის შეძენა, არავითარი მთავრობის საწინააღმდეგო რამ მათ ჩვენთვის არ უთქვამთ, რომლის დამტკიცება შეგვიძლია ჩვენ და ჩვენთან მყოფ მთელი სოფლის ხალხსაც, თუ რაიმე ფასი გვაქვს ღატაკ მშრომელ გლეხობას მთავრობის თვალში და დაგვეკითხეაიან ჩვენ· მოვითხოვთ უდანაშაულოდ დატუსაღებულ ამხანაგების განთავისუფლებას. სალამი ამხანაგებს, სალამი ჩვენს „ახალ კომუნისტს" და მათ სულის ჩამდგმელთ, ძირს რეპრესიები, გაუმარჯოს ქართველი ხალხის გათვით ცნობიერებას! გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას!

მონდ.: **გეჯეთელი უჩანა**

## მისალმებანი.

### ქ. ფოთის საპყრობილიდან.

სალამი მშრომელთა კლასის ინტერესების მედგრად დამცველ პრესას „ახალ კომუნისტს" და მის ხელმძღვანელთ, მშრომელ ჩაგრულთათვის მებრძოლთ, რომელთაც უსურვებთ გაასკეცებულ ენერგიულ მუშაობას. ვუსურვებთ ბრწყინვალე გამარჯვებას ჩვენს ორგანოს, როგორც ჩაგრული ხალხის მხსნელს გაუმაძღარ მყვლეფელ-მჩაგვრელებისაგან. გაუმარჯოს მას თავისი ხელმძღვანელებითურთ ეკლიანი გზის გაკაფვაში და სხვა და სხვა დაბრკოლებათა გადალახვაში. ჩვენ, ფოთის ციხის ოთხ კედელშვა გამომწყვდეული კომუნისტები გულწრფელი სალამით მივესალმებით გარეთ დარჩენილს ჩვენს ამხანაგებს და იმედი გვაქვს თქვენი დაუღალავი მუშაობა, ამხანაგებო, უნაყოფოდ არ დარჩება.

ამხ. მონდ. **ვალიკო სუფსისპირელი.**

**დრ. რედაქტორი:**
**დიმიტრი ჯორბენაძე.**

## უ წ ყ ე ბ ა ნ ი.

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

**ამხანაგების საყურადღებოთ!**

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსთაველის სადგომში. მიღება ყოველ დღე დილის 10 სათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მესამე რაიონის ს. კ. პ.** ბიურო დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 ნახ. საათიდან ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდინ და საღ. 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 135. სადაც პლეხანოვის სამკითხველოა.

ბიურო ღიაა საღამობით 5—7 საათამდე.

ბიურო ს. კ. პ. ლანჩხუთის რაიონული კომიტეტისა მოთავსებულია კალისტე ებრალიძის შენობაში (მუშათა უბანში), აქვე მოთავსებულია დროებითი გურიის კომიტეტი საქართველოს ახალგაზდათა კომუნისტური პარტიისა.

**რაიონ. კომიტეტის პრეზიდიუმი.**

საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურო დროებით მოთავსებულია ნოვო ბებუთოვის ქ. № 11 (Ново-Бебутовская ул. № 11) მდივანი იღებს 11—1 ს.

## განცხადება

ამით ვაცნობებთ ქ. ბათუმის და ბათუმის ოლქის ყველა პარტიულ ამხანაგებს, მუშებს და გლეხებს, რომ 1 აგვისტოდან გაიხსნა ქ. ბათუმში საქართველოს კომუნისტურ პარტიის ბათუმის ბიურო, სადაც მოხდება ამხანაგების რეგისტრაცია და ახალი წევრების ჩაწერა პარტიაში.

ბიურო მოთავსებულია ერისთავის ქ. № 4, კილფის საკინწავი სახელოსნო.

გაღებულია დილის 9 საათიდან—12 საათამდე და საღ. 5 საათ.—8 საათამ.

**საქართ. კომუნისტური პარტიის ბათუმის კომიტეტი.**

## ორგანიზაციების საყურადღებოთ!

საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის საწყობში არის შემდეგი გამოცემები. ორგანიზაციებს შეუძლიათ მოიკითხონ კომიტეტის სადგომში—ტფილისი, პასკევიჩის ქ. № 3.

1) საგუბერნიო თათბირი ქ. ტფილისში და დადგენილება მიწის შესახებ.
2. კომუნისტური პარტიის მანიფესტი.
3. საბჭოთა რესპუბლიკა.
4. კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა.
5. ვლ. როზანოვი—იმპერიალიზმი.
6. კავკასიის მშრომელ მასსას.
7. მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონი.
8. ლენინის მოხსენება და სიტყვა მე-3 საბჭოთა ყრილობაზე.
9. ნ. ლენინი—სახელმწიფო და რევოლიუცია.
10. კობა (სტალინ) ჯუღაშვილი—დიალექტიური მატერიალიზმი.
11. კ. მარქსი და ფ. ენგელსი—კომუნისტური მანიფესტი
12. ნ. ბუხარინი—პროგრამა კომუნისტებისა (ბალშევიკების).
13. პარტიული წესდება.